



1978 ՄԳԾԿԵԾԾԾՆՈՒ ՈՒՈ

# ԲԱՆԱԿ



## ნაგზკის თვადი

გიორგი ხორგუაშვილი

— ზური, ხომ მართლა არსებობს ნატერის თვალი?—ჰკითხა გიგლომ უფროს ძმას.  
— არა!  
— რატომ მატყუებ, — ეწყინა გიგლოს, — შენ თვითონ არ გეჭირა ხელში?

ნახტი ჯაურ ღვისაძისა

— სადა?—გაეცინა ზურიკოს.  
— სადა და ტელევიზორში, „ცხრაკლი-ტულას“ გადმოცემა რომ იყო, მაშინ.  
— ჰოო, ეგეთი ნამდვილად არსებობს!  
— როგორ ბრჭყვიალებდა, არა?—გიგლოს

თვალწინ წარმოუდგა ტელევიზორში ნანახი ნატურის თვალი,—ახლოდან აღბათ უფრო ლამაზი იქნება.

— ახლოდან ხომ, ნულარ იკითხავ, ისეთია, თვალს ვეღარ მოაშორებ.

— სხვანაირი ნატურის თვალიც ხომ არსებობს?—არ ვშეგებოდა გიგლო.

— არა, ეგ ერთია ქვეყანაზე.

— ერთი კი არა, ბევრია, უფრო პატარებიც და ლამაზებიც.

— სადა ნახე?

— მე არ მინახავს, ბებომ თქვა.

— ბებო ზღაპარს მოგიყვებოდა,—გაეცინა ზურიკოს.

— ზღაპარი ხომ სინამდვილეა, მამიკო?—ახლა მამა მოიშველია გიგლომ.

— კი, შვილო, მართალიც არის და ტყუილიც.

— ნატურის თვალიც ხომ მართლა არსებობს?

— კი!—მამასაც ჩაეცინა უღეღამებში.

— მართლა ეგრეა, რასაც ინატრებს ადა-

მიანი, აუცილებლად აუსრულდება?

— დიახ, ეგრეა!

— რას ინატრებდი?—გამომცდელად შეხედა მამამ.

გიგლო—ბიუი დაფიქრდა, მერე თავი ასწია:

— სადაც მოვისურვებდი, იქ წავიდოდი, მთელ დედამიწას შემოვივლიდი, ყველაფერს დავათვალიერებდი, რაკეტაში ჩავეჯდებოდი და მთვარეზეც ავიდოდი, ვარსკვლავებზეც, მზეზეც...

სხვაც ბევრი რამ ინატრა გიგლომ.

— ნატურის თვალი ყველა ადამიანს აქვს, შვილო!—მამამ თავზე გადაუსუვა ხელი გიგლოს.

— მართლა?

— აბა, მაშ, ეგ ნატურის თვალი სწავლა და მუყაითობაა! ცოდნა და გარჯა ყველა სიკეთისა და ბედნიერების სათავეა. თუ რამ ქვეყანაზე კარგი გაცემებულა და სასწაული მომხდარა, მხოლოდ სწავლით, შრომით და სიყვარულით. ვინც ამ სამ ცნებას მიჰყვება, ყველა კეთილი ნატურა აუსრულდება.

0815780

**ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა**

დაიმახსოვრე—რომელ ასოს რომელი ციფრი შეესაბამება და წაიკითხე აქ წარმოდგენილი დაშიფრული სიტყვები.

ქ. მ. შ. მ. ს. ს. ს. ს. ს.  
სახ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.  
ბ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

# შემოდგომას რა სჯობს

კ. გოგიაშვილი

აფერადდნენ ტყეები,  
მზით ვოთებით და ვტკბებით,  
მარნებისეგნ ეურმენი  
მიაქვთ მანქანებით.  
ნიაფი ჭქრის საამო,  
დაითოვლა მთები,  
განდაგანას ცეკვავეენ  
თოკსე ჩურჩხელები.

დიდ ქვებში დულს თათარა,  
ისარშება გოგრაც,  
შეჰსარიან უველანი  
შემოდგომის დოვლათს.  
თბილ ქვეყნებში მიფრინავს  
ოფოფი თუ დაჟო,  
იფ, რა მაჭრის სუნი დგას,  
შემოდგომას რა სჯობს!



## სისარულით აბჰავსო

მარი აბრაამიშვილი

მე და ბებოს ბაზრიდან  
სილი მოგვაქვს რჩეული:  
ვაშლი, მსნალი, ატამი,  
კომში და ბროწეული.  
ბებოს ჩანთა უჭირავს,  
მე კი ჩემი კალათა, —  
სისარულით აბჰავსო  
შემოდგომის ბარაქამ.





## მეხანძრეთა რაზმი

გასულ—1977 წელს ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა მწერალ თბია იოსელიანის მოთხრობა—„მეგობალი“. „მეხანძრეთა რაზმი“ და რამდენიმე სხვა მოთხრობა, რომელსაც „დილა“ თანდათან გამოაქვეყნებს, თბია იოსელიანმა სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის დაწერა. ამ ნაწარმოებებშიც, ისე, როგორც შარშან დაბეჭდილ „მეგობალში“, მოთხრობილია ზაზას და უჩას უცნაური, სასაცილო მეგობრობის ამბები.

### ოთბია იოსელიანი

ღამით ზაზამ იდარდა, ხულიჯნებმა ტყუილ-უბრალოდ რომ სცემეს, ცხვირი ბუკივით გაუსივებს და თვალი ჩაულურჯეს.

ყველაფერი უჩას ბრალია, თვალით არ დამენახოსო,—ბრახოზდა მეგობარზე და გაბრაზებულს გვიანობამდე არ ჩაეძინა.

ღილით ღეღამ და მამამ სამსახურში წასვლისას ბებიას დაუბარეს:—ბავშვი სახლიდან არ გაუშვა და ხულიჯნებიც ვერაფერს დააკლებენო.

— ბავშვი ხბო არ არის, წელზე ბაწრით ვერ გამოვიზამო,—არ დაეთანხმა ბებია.

ბებია სავარძელში ჩაჯდა. ზაზას ისევ ეძინა, კარებზე ბრახუნს და აურზაური რომ ატყდა. მოხუცს წიგნისათვის თვალი არ მოუშორებია, კარებთან მივიდა და გასაღები გადატრიალა. უჩა ოთახში შემოძვრა და ლოგინს მიაშურა.

— ზაზა, ზაზა!—ჩასძახა მძინარეს...

### ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ზაზა ის იყო ჩალურჯებული თვალის განხლას აპირებდა.

— ზაზა, წამალი მოგიტანე, პილი დაადე, ძალიან დაადე!

ძილ-მღვიძარეს, სანამ გონს მოვიდოდა, პირი გააღებინა და ხახა მყრალი ქონით ამოუტენა. ზაზამ თვალები გადმოქაჩა, დაყვირებაც დააპირა, მაგრამ რაღა დროს, პირი ამოგლეხილი ჰქონდა და კრინტი ვერ დამძრა.

— წყალი, წყალი უნდა!—უჩა სამზარეულოში შევარდა. იმ ღილით ონკანში მხოლოდ ცხელი წყალი მიდიოდა. უჩამ მყრალი ქონით ხახამოტენილ ზაზას პირზე თბილი წყლით სავსე ჭიქა მიაყუდა, ბოლომდე გამოაცლევინა, მერე უბიძგა, საწოლზე გულადმა გაშხლართა და საბანი წააფარა. ზაზას გული აერია და ისევ წამოდ-



გომა მოინდომა, მაგრამ უჩამ არაფრით ახსენება—გაცივდებო. ბებია ოთახში შემობრუნდა და გაშლილი წიგნის ზემოდან გადმოიხედა, უჩამ ცხვირი ვოჭივით აბზიკა და აუხსნა:

— მეგობალი ვალ, წამალი დავაღვენივო!  
ბებიას მოეწონა და ზაზა დაარცხა:—წამალი, მეგობრის მოტანლივც კი, მწარეა, ცოტა ხანს მოითმინე, არ გაინძრე, მალე გავცივდისო და, სავარძელში ჩაჯდა, საკითხავს ჩააჩერდა.

უჩამ სკამი საწოლთან მოათრია, ზედ წამოსკუბდა და დაელოდა მეგობრის მომჯობინებას. მეგობარი კი მომჯობინების მაგიერ სულ წავიდა ხელიდან, მუცელი ასტივდა, ფერი დაეკარგა, გული ყელში მოეხვინა და საბანში ჩაფუთვინილს ფეხები სულ გაუცივდა.

— მიშველეთ!—ამოიკვანესა ავადმყოფმა. მეგობარმა გაქონილი ხელი შუბლზე დაადო, მაგრამ ავადმყოფს სიცხე არ ჰქონდა; ამით დაარხენიებული სკამზე წამოსკუბებული უჩა—ფეხების ქნევას მოჰყვა.

ზაზამ ძალა მოიკრიბა, ლოგინიდან წამოვარდა და იყვირა:

— მიშველეთ, ვკვდები!  
ბებია როგორც იქნა მოიხედა, მაგრამ ზაზა რომ დაინახა, შიშით სქელი წიგნი გაუვარდა.

— შვილო, ასე რამ გაგამწვანა!—იკივლა მოხუცმა და მაშინვე ტელეფონს ეცა, ორი ციფრი აკრიფა და ყურმილში ჩაჰკივლა:

— გვიშველეთ!.. ქუჩა... ქუჩა ბაირალის... ვილუბები!

უჩა ლოგინზე წამომჯდარ მეგობარს ისევ დაწვენას უპირებდა და ბებიას ამშვიდებდა:

— ექიმი ალა... სიცხე ალა აქვს!

— გაშავდა და გაცივდა ბავშვი, რალის სიცხე ექნება!—გადაირია ბებია და ზაზას ხახაში თითები ჩაჩარა, იქნებ პირს ასაქმოსო. მალე ქუჩაში სირენების სივინი ატყდა და ეზოში მანქანები შემოგრაილდნენ.

— აქეთ, აქეთ! გვიშველეთ!—გადასძახა ფანჯრიდან ბებია, მაგრამ ალვის ხეების ქვეშ წითელი მანქანები რომ დაინახა, ენა წაერთვა და თვითონაც მწვანე ფერი დაედო. იმავე ფანჯრის რაფაზე უსარმაზარი რკინის ჩაფხუტიანი ახმახი მესხანძრე ამოვიდა და ოთახში რწყილივით გადმოსტა. ენაჩავარდნილმა ბებია ხელები გაასავ-



სავა:—თქვენ არა, სასწრაფო მინდოდაო!—მეხანძრემ იფიქრა, ცეცხლი მოხუცს ნოჭებთან გრძელ კაბაზე წაჰკიდებიაო და, იფეთქა წყლის შადრევანმა. გარედან კარები შემოვლივს, სხვა კიდევ უფრო მარჯვე მეხანძრეებმა გალურჯებული ზაზა და ლოგინის ქვეშ შემძვრალი უჩა აიტაცეს და პირდაპირ ფანჯრიდან უშველებელ კბეზე თვალის დახამხამებაში ეწოში ჩაარბენინეს. მერე ბებია აიტაცეს, აკივლდა მოხუცი:—სად მიგყავართ, ნომერი შემეშალა, ყველაფერი ჩემი ბრალია, აქვე ჩამქოლეთო!—მაგრამ მეხანძრეებმა აუხსნეს:—ჩვენ ადამიანის სიცოცხლისათვის ვიბრძვით, აქ ვერ დაგტოვებთო და, აფართხალბული, გაძლიანბული ბებიაც ფანჯრიდან, უზარმაზარი კიბით, ქვევით ჩამოაცუნცულეს.

— შვილო, შვილო, ცოცხალი ხარ?—ეცა ბებია ზაზას და გულში ჩაიკრა.

— დეიჯან, ორივე ცოცხლებია, დარდი ნუ გაქეთო!—დაამშვიდა მსუქანმა მეხანძრემ და გაზუზულ, აკანკალებულ მოხუცს ზაზასთან ერთად უჩაც კალთაში ჩაუსვა. წყალი ქვევიდანაც მიუშვეს კედლებზე, ფანჯრებზე და სასურავზე, მაგრამ რომელიღაც გამოცდილმა მეხანძრემ მხრები აიჩქია:—რალცა, უკვამლო ხანძარი არ მახსოვსო... მაგრამ კიდევ უფრო გამოცდილმა მეთაურმა თქვა:—სიფრთხილეს თავი არ სტკივო და, ოთახეში მუხლებამდე ტბორი დააყენეს.

ყველაფერი რომ მშვიდობიანად დამთავრდა და ხანძრის საშიშროება აღარ იყო, ეზო ხალხით გაივსო, ზემო ქუჩიდან ხულიგანი ბიჭებიც მოცვიდნენ და მეხანძრეებს დაუსტვინეს. ბაზრიდან დაბრუნებული, დატვირთული, დეიდა ეკვირინეც გამოჩნდა და შეიცხადა, მაგრამ მეზობლებმა დაამშვიდეს:—ცეცხლი არ ჩანს, რა გაკივლებსო და, პირზე ხელი დააფარეს.

მეხანძრეებმა რომ ბრეზენტის მიღები აახვიეს, დეიდა ეკვირინემ ზაზა და უჩა მალა აიყვანა. ბებიას გაშლილი სქელი წიგნი წყალში ცურავდა.

დაზუზულ, მოწამლულ ზაზას ეშველა და ბრის ღებინება აუტყდა.

— სასწრაფო!—გადირია ეკვირინე დეიდა, უჩას ხელი უშვა და დაცვარულ ტელეფონს ეძებრა.



# პერ ისნაულა

ნოღარ ზამანაძე

თავცანცარა თიკანს,—  
ჩემს პატარა ბელას,  
ვასწავლიდი ანბანს,—  
ყველა ასო-ბგერას.  
მაგრამ ბელამ ბგერა  
ვერ ისწავლა, ვერა.  
ამბობს მხოლოდ „ბე“-ს,  
ეს არის და ეს!



## ყველაშ თაჳის საქმე ნახოს

გიორგი ჳარათელი

ყაისნალმა ქსოვოს,  
თითისტარმა ართას,  
მაკრატელი თარგზე  
სწორად კრიფეს ფართადს,—  
ნემსმა უნდა კეროს,  
რასაც იგი ბადთავს,  
ღამაზად რომ აჩნდეს  
მისი კვადი კაღთას.  
ყვედამ თავის საქმე  
და ადგილი ნახოს,  
რატომ უნდა ტეხდეს  
მაკრატელი ახოს,  
სასაცილო არის,  
ყაისნალმა ნაყოს,  
ყაისნალის საქმე  
ქვასანაყმა ჩმახოს,  
ციცხვის ნაცვლად ქვაბში  
ნემსმა ცხვირი ჩაჳყოს.



# გუკა და ბაჭია

## მარბო თომაძე

მიდიოდა ბაჭია და მიიმღეროდა:

— დელი, დელი, დელასაო, დელი, დელო, დელასაო...

— სტაფილოს წვენი ვკლურწე?!

— ვკლურწე.

— კომბოსტოს წვენიც ვკლურწე?!

— ვკლურწე.

— დელი, დელასაო, დელი, დელი, დელასაო.

— ახლა დედიკოსთან მივალ და გავახარებ.

ტურამ ყური მოკრა ბაჭიას სიმღერას და აედევნა.

— ბაჭია, ბაჭია, მოდი, ერთად ვიმღეროთ.

— შენ როგორი ხმა გაქვს?— ჰკითხა ბაჭიამ.

— მოძახილი, — მიუგო ტურამ.

— ეგ რაღაა? — ყურები ცქციტა ბაჭიამ.

— შენ დაიწყებ და მე ხანს გეტყვი, — განუმარტა ტურამ, თან ფიქრობდა: სიმღერას რას დავეძებ, ამ მზიარულ ბაჭიას კბილს გავკრაე და ერთი გემრიელად ვისადიღებო. ზოგჯერ თავს ვერ იკავებდა, კბილებს დაკრექდა და ბაჭიას ზედ კისერთან წაკრავდა ხოლმე ცხვირს.

— უჰ, რა გემრიელი სუნი ასდისო, — ნერწყვს ყლაპავდა ტურა. ბაჭია მიუხედა განზრახვას, ჩირგვებს რომ მიუახლოვდნენ, ბარდებში გაძვრა და ერთ მოზრდილ ჩირგვს თავი შეაფარა. ტურაც ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ ეკლებმა გზა შეუკრეს, ცხვირ-პირი დააკაწრეს. სხვა გზა არ იყო, უნდა გასცლოდა იქაურობას. უკან რომ დაიხია, კიდევ უფრო ღრმად შეესო ეკლები ცხვირში. ბევრი იწვალა, დიდხანს აქნია თავი აქეთ-იქით, ბოლოს მთელი ცხვირ-პირი დაეკაწრა და სისხლით მოითხუენა.

— ბაჭია, შე ავაზაკო, ეს რა მიყავიო! — დაიძახა გამწარებულმა ტურამ.

— შენ რომ ცხვირს ეკალ-ბარდში ჰყოფდე, რა ჩემი ბრალია! — გამოგბასუხა გახარებული ბაჭია იმ ეკლებით დაფარულ ჩირგვიან.



# აცმაცუნა

## შალვა შუბლაძე

ერთხელ თურმე აცმაცუნას,—  
თხილისა და კაკლის მსუნაგს,  
სუნი ეცა საკბილღსი  
და ბუღისკენ გაცუნცუღდა.  
მაგრამ, დახე, ბუღლის კართან  
ყურპარტყუნა მურა დახვდა.

შეხტა მურა, შეუღრინა:  
— თქმა არ უნდა, მიცნობ ვინ ვარ,  
გეყოფა რაც იყარაღ,  
ყვედაფერზე პასუსხ აგებ!  
„არ შეშინდე, აცმაცუნავ,  
ჭირს დაუხვდი ვეჟაკურად.  
ათასგვარი იცი ფანდი,  
გაქანდი და გამოქანდი!“  
თავგიც მიჰყვა გუღის კარნახს,—  
მყის დაფაროს შეეფარა,  
მაგრამ ვაის ვაეყარა  
და უარგეს შეეყარა:  
დაფაროში ფისოს გუღადს  
თვადი მშვიდად მიედღდა.

იქვე ძველი გოღორი დგას,  
შიგ კომბოსტოს ნეშო ყრიო.  
ცლტა ქვემოთ, კირის ორმოს  
დაჩენია პირი ღია...  
ფისომ თვადი ჭყიტა მტრუღად,  
გაისუსა, გაიტრუნა.  
გააჭრჟოდა აცმაცუნას,  
სიმწრის ოღღში გაიწუნა,  
„აქ სად დამხვდა ფისუნია,  
ჩანს—სიკვედილი მოსულიო!  
აცმაცუნავ, არ დაიბნე,  
გოღორის ძირში შეგძგე იქნებ!“  
რაკი გუღმა ასე ბრძანა,  
თავგიც იქით გაექანა.

— ვერ წამიხვად, არამზადავ,  
შესაქმედად, ხედავ, მზად ვარ!—  
და ისკუპა,  
მაგრამ კატას  
გზა მოუჭრა უცებ მურამ.  
წრწუნუნასთვის წამიც კმარა,—  
თავი გოღორს შეაფარა.  
— ხელს რად მიშღი, შე ღვთის  
გდახავ!—

ფისომ მურას მიაძახა  
და გოღორში გადაეშვა,  
მურაც მიჰყვა, არ მოეშვა.  
მყის გოღორი ვადირია,—  
ათუხთუხდა, აჩოქოღდა,  
ყვედაფერი აირია,  
ძალღი პატრონს ვერა სცნობდა.  
ატყდა—ერთი რია-რია,—  
ერთი ორმოტრიაღია.  
აწგებიან გოღორს თავქვე:  
მურა ცაღკე,  
ფისო ცაღკე  
და გოღორიც ხტუნვა-ხტუნვით  
ქვემოთ იწვეს—ორმოსაკენ.  
თავგი გოღორის ჭუტურტანამ  
სამშვიღობოს გაიყვანა.  
ბუღლის ხგერღთან აცმაცუნა  
წამომჯღარა ვეჟაკურად.  
ფიქრობს: მხოღღღ თავგები ვართ  
ყვედა ჭირის გამძღობო,  
ასე ვიცით, თუ ვაჭირდა,  
ნემსის ყუნწშიც გავძღვრებით!



# თოჯინების სიმღერა

## სიკა ჰიტიანაშვილი

ფანჯარაზე ჩუმად, წყნარად  
თოჯინები ჩამომსხდარან,  
გზისკენ იცქირებიან,  
თინას ელოდებიან.  
„არ გეყოფა სწავლა განა?  
ჩქარა მოდი სკოლიდანა,  
მოიტანე წიგნი თანა,  
წაგვიკითხე ანაბანა,  
რომ ჩვენც ვიყოთ შენისთანა.“



## რთველი

### თინათინ კვირიკაძე

აბა, დელი, დელი, დელი,  
პა, გაჩაღდა უკვე რთველი!  
მწუნე კაბა გავიხადე,  
გადავიცი ოქროსფერი.  
აბა, ჩქარა, აბა, ჩქარა,  
გამოისხით ჩიტის ფრთები,  
ერთი ხელი კი არა და  
შომაშველეთ ასი ხელი...  
აი. თქვენ კი გაიხარეთ,  
ამას ქვია, მართლაც, რთველი!



## ციცინათელა

### ნელი დარსაველიძე

ციცქნა ციცინათელა,  
მითხარ, შენ გენაცვალე,  
ეგ პაწია ნათურა—  
რად გიქრება მალ-მალე?  
წამო ჩემთან გეთაყვა,  
ერთად ვთხოვოთ ხათუნას  
და უთუოდ გაჩუქებს  
ახალთ-ახალ ნათურას.

ნახატები მანანა მორჩილაძისა

კ. შარტავის სსს სიკ. სსრ  
სახელმწიფო რ. საუბლოკი.  
ბი. ლე. იმეძვე



## გრამოფონი

### ბურამ პატრიაშვილი

კაცს გრამოფონი ჰქონდა. ისეთი ლამაზი იყო, ისე კობტად ჰქონდა ყელი მოღერებული, მნახველს მაშინვე მისი მოსმენის სურვილი უჩნდებოდა, მაგრამ კაცი არ უკრავდა გრამოფონს.

— რატომ არ უკრავო? — ჰკითხავდნენ.

— ჯერ აღრეაო.

ამ უცნაურ პასუხზე ყველა თავს ანებებდა.

მართლაც უცნაურად იქცეოდა კაცი; დადგამდა მაგიდაზე გრამოფონს, ჩაჯდებოდა იქვე სავარძელში და ხმამაღლა კითხულობდა წიგნს. მნახველი იფიქრებდა, კაცი წიგნს გრამოფონს უკითხავსო.

წიგნის კითხვას რომ მორჩებოდა, გრამოფონს ირგვლივ კოთნის ყვავილებს შემოუწყობდა ხოლმე. დაყნოსავდა ხან ერთ ყვავილს, ხან — მეორეს, თვალებს დახუჭავდა და თავს გადააქნევდა; უჰ, რა სურნელიაო.

სალამოსპირის ფანჯრის რაფაზე დადგამდა და უცქერდა, ჩამავალი მზის სხივები როგორ ირეკლებოდნენ გრამოფონის მოღერებულ ყელზე...

ხშირად სტუმრებს პატიუბდა, ესაუბრებოდა მათ ათას რამეზე და ხანდახან ნათქვამს ამეორე-ბინებდა ხოლმე რომელიმეს: — გაიძეოროთ, გეთყავა, თუ შეიძლება, ჩემმა გრამოფონმა კარგად გაიგონოსო.

ერთხელ კი სულ გააოცა სტუმრები: — ოჰ, წვიმა წამოსულაო! — წამოიძახა უცებ და გრამოფონი აივანზე გაიტანა.

როცა წვიმამ გადაიღო, კაცმა გრამოფონი სახლში აღარ შეიტანა, რადგან ჩიტს მის მიღში ბუღის კეთება დაეწყო.

ასე დარჩა გრამოფონი აივანზე.

ჩიტმა ბუღეში კვერცხები დადო, ბარტყები დაჩეკა და დააფრინა.

შემოდგომით კი, როცა ჩიტები შორს გაფრინდნენ, კაცმა გრამოფონი სახლში შეიტანა, გაწმინდა, გააპრილა და თქვა:

— ახლა კი დროაო.

...კაცის სახლიდან გრამოფონის საკვირველი ხმა გაისმა. ძალიან ლამაზი, ნაღვლიანი სიმღერა

მოფინა ქუჩას. ასეთი არაფერი გაეგოთ და მოგროვდნენ მეზობლები, ბავშვები.

ერთი გამვლელი ძალიან აღელდა. იდგა დიდი ჩანთით ხელში და ჩურჩულებდა:—რა ნაცნობი ხმაა, ნეტავ ვინ მღერის ასე კარგადო.

სიმღერა რომ დამთავრდა, ის გამვლელი კაცის სახელი შევიდა და სთხოვა,—თუ ძმა ხარ, მაჩვენე რას უკრავდიო.

კაცმა ფირფიტა მიაწოდა. იმან დახედა ფირფიტას და კინალამ ჩანთა ხელიდან გაუვარდა.

— აი, საოცრება, — თქვა მოსულმა, — ვფიქრობდი, რა ნაცნობი ხმაა-მეთქი და თურმე ჩემი ფირფიტა კი ყოფილა. ხმა ნამდვილად ჩემია, მაგრამ, რასაც გრამოფონიდან ვისმენდით, არასოდეს მიმღერია, ამ ფირფიტაზე სულ სხვა სიმღერა იყო ჩაწერილი.

— განა არ მოგეწონა სიმღერა? — ჰკითხა კაცმა ღიმილით.

— რას ამბობ, როგორ არ მომეწონა! — წამოიძახა მომღერალმა, — მთელი ცხოვრება ასეთ სიმღერებზე ვოცნებობ. დღე და ღამე სიმღერა. ში ვვარჯიშობ, ხელი რომ არაფერმა შემეშალოს, მძიმე ფარდები დავკიდებ ფანჯრებზე, ვმღერო და ვმღერო. გარეთ მხოლოდ იმისთვის გამოვდივარ, კვერცხები ვიყიდო. რაც მე კვერცხი გადამიუღებავს, ერთ ქალაქს ეყოფოდა ალბათ. აივარ, ახლაც, ეს ჩანთა კვერცხებითაა სავსე...

მომღერალი უცებ გაბრაზდა, დაავლო ჩანთას ხელი და ფანჯრისკენ წავიდა.

— მორჩა, უნდა მოვიშორო თავიდან!

— მოიცა, მოიცა, — შეაჩერა მომღერალი კაცმა, — მაგდენი კვერცხის ყლაპვა, ცხადია, შეცდომა იყო, მაგრამ ახლა უარეს შეცდომას უშვებ, ჯერ ერთი, ქუჩაში ხალხი დგას და აბა, ვის ესიამოვნება, ერთი ჩანთა კვერცხი თავზე გადააყარო, მეორეც, შენ ისიც კი ვერ შეამჩნიე, რომ ჩვენს გარდა ამ ოთახში სხვებიც არიან.

მიიხედ-მოიხედა მომღერალმა და ახლალა დაინახა მომღიმილი ბავშვები.

— კვერცხები რად უნდა გადაყაროთ? მომეცი ჩანთა, — უთხრა კაცმა, — ბევრი კვერცხი საშინელებაა, მაგრამ ცოტ-ცოტა ყველაფერი კარგია.



ნახატები თამაზ ხუციშვილისა



კაცმა კარადიდან კოვზები, ქიქები, ფინჯნები გამოიღო და ბავშვებს დაურიგა. მერე, სათითაოდ უყვლას გაუტეხა თითო კვერცხი, ჩაუყარა შაქარი და:

— აბა, ახლა თქვენ იცითო.

აწყარუნდნენ ქიქები და კოვზები.

ბავშვებმა გოგლიმთავის ქამა რომ დაიწყეს, კაცმა მომღერალს უთხრა:

— თუ ატყობ, ზოგიერთს არც უყვარს გოგლიმთავლი, მაგრამ თავს ძალას ატანენ, რათა კვერცხების უაზრო ულაპვისაგან გადაგარჩინონო. უცქირა მომღერალმა ბავშვებს და როცა პაწია, ცისფერთვალა გოგონამ ცხვირი გოგლიმთავლით მოითხოვნა, თქვა:

— უნდა გამოვტყდე, აღარც კი მახსოვდა, რომ ქვეყნად არიან პატარა გოგონები და ბიჭები. რა ხანია აღარც ის მომგონებია, ბავშვობაში ასეთ ცისფერთვალა გოგონასთან ერთად საქანელაზე როგორ ვქანაობდი და როგორ გავუცვალე ადგილი, რადგან გოგონას სურდა მზისკენ ჰქონოდა სახე; მისი ბრიალი თვალებს მახუჭვინებს და ფერად-ფერად ბურთებს ვხედავო.

მომღერალმა ამოიოხრა.

ცისფერთვალა გოგონა კი წამოხტა, ფანჯარასთან მიიხრბინა, დახუჭა თვალეები და გაირინდა.

— მართლა ჩანს ფერად-ფერადი ბურთები,— დაადასტურა გოგონამ.

მომღერალმა გოგონა ხელში აიყვანა და გოგლიმთავლით მოთხოვნულ ცხვირზე აკოცა.

— ახლა კი ვიცი კარგი სიმღერის საიდუმლოო,— გოგონა დასვა და კაცს მაგრად ჩამოართვა ხელი. მერე გრამოფონსაც აკოცა უელზე.

...და, გრამოფონს გაელიმა თურმე. დიას, გაელიმა.

ასე ამბობს ის კაციც და მომღერალიც, ამას ადასტურებენ ბავშვებიც.

თუმცა, როცა ეკითხებიან, ვერც ერთი ვერ ამბობს, მაინც როგორ გაილიმა გრამოფონმა:— სიტყვით არ გამოითქმება, ვერ გეტყვითო.

და თუ ვინმეს არ სჯერა, ის პატარა, ცისფერთვალა გოგონა თურმე ტირილს იწყებს მაშინვე. მეტი რა გზაა, ჩვენც უნდა დავჯეროთ ხვებს რომ თავი დავანებოთ,—ნუ ვაწყენინებთ იმ კარგ ხალხს და პატარა გოგონასაც ნუ დავწყვეტთ გულს.

# ნავაზ კითხვა შაბაძლოს

ირინა უშვარიაძე

უამრავი წიგნი მაქვს,  
წიგნი—ცოდნის დამპარი.  
სულ დედოკო მიკითხავს,—  
ღუქსია თუ ზღაპარი.  
მიყვარს „ნაცარქექია“,  
„საღამურა“,  
„წიქარა“...  
ნეტავ კითხვა შემიძლეს,  
მეტი არა მინდა რა.

# ჯადოქარი

მზია ჩხაბიანი

რა არ თქვა წიგნმა ხატულამ—  
ღუქსი,  
მოთხრობა,  
ზღაპარი,  
რა გზა არ შემომატარა,  
რა ქვეყნები და მთა-ბარი!  
რა მეგობრები შემიძინა,  
რა გმირებს დამამობილა,  
მთელი სამყარო გავამცნო,  
რა ჯადოქარი ყოფილა.

# შეისწავლონ ქნჯანი

ლავით ხურიაძე

— მოგვიყვეთ ზღაპარი,  
წაგვიკითხე წიგნი,—  
უკან დამდევს ხათუნა,  
უკან დამდევს გიგი.

— ამ ოქროსფერ სურათს  
ქვემოთ რა აწერია?

ან ეს გოგო-ბიჭები  
ნეტავი რას მღერიან?—

— ათას რამის პასუხს  
ყოველ წუთს რომ ითხოვთ,  
სჯობს—ანბანი ისწავლოთ,  
თვითონ წაიკითხოთ.



# ზიქრი

ელისო ბილანიშვილი

შემოდგომა ბოლო დღეებს ითვლიდა, სუს-ხიანი ქარი წითელ-ყვითელ ფოთლებს ხევ-ტავდა და ჩადაბლებულებში აგროვებდა.

მაჯღაჯუნა ზამთარი მთის წვერზე ჩამომჯღადარიყო, თეთრი ხელები ცივ, გაყინულ გულ-ზე დაეკრითა, კომპეკრული კუმტად იბღვი-რებოდა და თეთრი თვალების ბრიალით აშინებდა ძალაგამოლეულ მზეს.

მთის ფერდობზე შეფენილ ტყეში აუარე-ბელი პანტა და მაჟალო იდგა, ვაცრეცილ ფოთლებიდან ნაყოფი აქა-იქიდანა იყურე-ბოდა. დანარჩენი ძირს გაფენილიყო.

ნიკოლოზი და მისი ვაჟი—პატარა ნიკა პან-ტის ძირში ტრიალებდნენ. მწიფე ნაყოფს ჰკრეფდნენ მიწიდან და ტომარაში ჰყრიდნენ.

ნიკოლოზმა მაჟალოს ქვეშ გადაინაცვლა.

— მამა, სანამეყენედ რაღა პანტასა და მა-ჟალოს ირჩევენ, სხვა ხეზე რომ ვაკეთდეს ნამეყენი, არ შეიძლება?

— რატომაც არა, დამყნობა ყველა ხეზე შეიძლება, მაგრამ მაჟალოსა და პანტას იმიტომ მაჯობინებენ, რომ გამძღენი არიან. არც ქია უღგება აღვილად და ვერც ავალო-ბა ერევა. აქ მეტი აღარ აირჩევა, შეილო, — ტომარა აიღო ნიკოლოზმა.

რამდენიმე ნაბიჯის იქით ბუწნარი შეხე-დათ, დაკუზულგბმა გაიარეს. მალე ტყე შე-თხელდა, გამოჩნდა მოტიტკლებული ფერ-დობი, სადაც ერთი ბენგერი მაჟალო იდგა მხოლოდ—ძირზე უამრავ ყლორტამოხვინ-ქული. მიწა ხრამებით იყო დახაზული.

— ხედავ, ნიკა, ეს ხე დიდი ტყის ნაშთია, უწინ აქ დაბურული ტყე იქნებოდა, ადამიან-ნებმა კი... ხედავ, წვიმასა და ნიაღვარს რა უქნია? რამდენიმე წლის მერე, აქ ისეთი დი-დი ხრამები იქნება, ვერც კი გადაახტები. უბედურება ის არის, რომ მოშიშვლებული ფერდობებიდან წვიმის წყალს მიწა მდინარე-ში ჩააქვს, ის კი სხვა ქვეყნისკენ მიაქანებს



ნახატი ელშარდ აგბოკაძისა





ჩვენს სიმდიდრეს. აი, აქ ჩამოვსხდეთ, ბარემ გავარჩიოთ კიდევც,—მამამ წინასწარი მოიხსნა და ძირს დადინა, ტომარა წამოაპირქვევა, მაჟალოსა და პანტის ყვითელი გორა დადგა. მერე ნიკოლოზმა დანა ამოიღო გულის ჯიბიდან, გადაჭრა მაჟალო და ფრთხილად ამოაცალა ჩაყავისფერებული თესლი. მეორე გადაჭრა და ნიკას მიაწოლა.

— იფრთხილე, შვილო, ნუ დაბნენვ, ერთი პატარა კურკა ერთი ხეა. გაზაფხულზე რამდენ მარცვალოსაც ჩასთეს, იმდენი მცენარე ამოიზრდება.

კარგა ხანს უბრად არჩიეს.

— მამა, რა უნდა ქნას ადამიანმა, რომ წყალმა ჩვენი მიწა სხვაგან არ წაილოს?

— ხეები უნდა დარგოს, შვილო. ჩვენი მიწის მფარველი ტყეა. ხე წვიმის წყალს გზას უღობავს, წყალი მიწაში ჩადის, ნიაღვარს ძალა ეკარგება და მიწა ადგილზე რჩება.

— მე რომ გავეზრდები, ყველგან დავრგავ ხეებს.

— ჰო, შვილო, ძალიან კარგს იზამ. ვისაც ბუნება უყვარს, ის მლიერია, უკვდავი და უბერებელი, ქედს არავის წინაშე არ იხრის, არც ობლობას გრძნობს და არც უძოლორებას. საღ კლდესავე მტკიცეა და შეუპოვარი, მუდამ კარგ ვაჟკაცად იხსენიება.

მამამ ბოლო პანტა გადაჭრა, თესლი წინსაფარზე დაყარა, ერთი წვერით პირი მოუყრა და წამოდგა.

— წავიდეთ, შვილო!

მამა-შვილი სახლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

— რომ გავეზრდები ყველგან, ყველგან დავრგავ ხეებს; მთებზეც, ველებზეც, გზის პირებზეც. ჩემი მთების არც ერთ მუქა მიწას არ გავატან წყალს... არც არავის,—ფიქრით მიჰყვებოდა პატარა წინ მიმავალ მამას.

— ნეტამც ნატერა ავისრულდეს!—ქოჩორზე ეალერებოდა და ეფერებოდა შემოდგომის გრილი ნიავი.


ქ ს ჳ უ ზ ც ა რ



სწავლავთ

ნუნუ ლალიძე

მოიმარჯვე ქალღი  
და ფერადი ფანქრები,  
გადაძხატე ზატარავ,  
ჩქარა, ვიდრე გაუქრები!



შეაგეთ ცარიელი უჯრედები ხლის სახელწოდებით ისე, რომ ღერად სვეტში მიიღოთ—რთელი.  
შეადგინა ქ. თბილისის 87 საშ. სკოლის მოსწავლემ ხათუნა ხალუქვაძემ.



# ნაკადულო

ავთანდილ ვიგრაქიძის მიერ

ლიკ-ლიკ, ლიკ-ლიკ, ნაკადულო,  
ფერად ქვევით დაქარგულო,  
ცის ნამიდან გაჩენილო,  
სიმწვანეში დაქარგულო.  
სანუკვარო, საყვარელო,  
აფოფინე მთა და მდელო,  
ირაკრაკე მუდამ ლალად,  
ველად, ბალად, იალალად.

# ნავი

ტარიელ ხავთასი

იქ რომ დიდი აუზია —  
პლიერ გვიფარს ნატარებს.  
შივ ლამაზი ნაფები,  
ჩაუსდებთ და გვატარებს.  
აი, ახლაც, ჩემი ნავი  
მისრიალებს სმაურით,  
ნაფზე მე ვარ კანატანი,  
მგზავრიც და მეზღვაურიც.

# რა მირჩევნია

ლილა ვრამე

იციო, რა მიყვარს ძალიან,  
ზაფხულია თუ ზამთარი? —  
ჩემი დედოკოს ნანინა,  
ჩემი ბებიკოს ზღაპარი.

მეზღვაური



შეადგინა საჩხერის რაიონის, სოფ. საირხის  
სკოლის მოსწავლემ გოჩა შუაკაცემ.

675/156



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

იპოვეთ ერთი ზომის ბურთები და რგოლები.

მთავარი რედაქტორი შუხრან შაბაძე ვარციანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ელზარ ამროსაძე, კუპური გოგიაშვილი, ლეილა პრაძე, მამკალა მრავალისვილი, ჯიშუა მუჯირი, გიორგი რომინოვილი (სამხ. რედაქტორი), იორან მხმარაბაძე, რობერ ლარიაშვილი, გვიძე ძეგლაძე.

საქ. აღკვ. ცვ.-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეფრანო. ედაზე ნახატი ნოდარ სულაშიაშვილისა. გამომცემის მ. ე. წელი.

ტექნოლოგიური ენდი ვარიანტი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მი. რედაქციის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქციის—83-98-18; გამომც. — 93-98-19; საბჭოსისი — 93-98-16.

გაზეთი ასაწეობად 17/VII-78 წ., ხელმოწერა დასაბეჭდად 15/IX-78 წ., ქაღალდის ზომი 60x90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფიზ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეფ. № 2328 „Дня“ № 10. на грузинском языке. ფასი 20 კაპ

საქ. კვ. ცვ.-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии